**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება**
**№ 173**

**ქ. თბილისი**

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - ,,შემსყიდველი“) თავმჯდომარის ლევან მეხუზლას სახით და მეორე მხრივ, მეწარმე ფიზიკური პირი თამაზ ჯანეზაშვილის (შემდგომში -„მიმწოდებელი“) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე და 2023 წლის 9 ივნისის №1110-03 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**2. ხელშეკრულების საგანი**

სააგენტოს საკუთარი სახსრებით (პროგრამა: მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება) სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოს ძირითადი საშუალებების (მანქანა-დანადგარები და სხვა) და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ჩამოსაწერი ღირებულების დადგენის აქტის და დასკვნის მომზადების, ჩამოსაწერი ქონების ტექნიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის მომზადების, ჩამოწერის შედეგად სავარაუდოდ მისაღები ჯართის რაოდენობისა და საბაზრო ფასის შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით, აუდიტის მომსახურების შესყიდვა (CPV- 79212000 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 30 ივნისისა.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

**4. ხელშეკრულების ღირებულება**

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 625 (ექვსას ოცდახუთი) ლარს. (ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 500.00 (ხუთასი) ლარს, ხოლო საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 125.00 (ას ოცდახუთი) ლარი) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას დაუკავოს მიმწოდებელს და გადაიხადოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი 20%-ის ოდენობით.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საშუალებების (მანქანა-დანადგარები და სხვა) და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ჩამოსაწერი ღირებულების დადგენის აქტის და დასკვნის მომზადება, ტექნიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის მომზადება, ჩამოწერის შედეგად სავარაუდოდ მისაღები ჯართის რაოდენობისა და საბაზრო ფასის შესახებ დასკვნის მომზადება;

ბ) კეთილსინდისიერად, კომპეტენტურად და მაღალპროფესიულ დონეზე მკაცრად დაიცვას კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში შეასრულოს მასზე გათვალისწინებული სამუშაოები შემსყიდველის მოთხოვნის დონეზე;

დ) შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოადგინოს დასკვნა წერილობითი სახით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

ბ) მიმწოდებელს გადასცეს სამუშაოდ საჭირო ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია, მოთხოვნისთანავე მისცეს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით;

გ) მიმწოდებელს შეუქმნას აუდიტის ჩატარებისთვის საჭირო პირობები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

## 6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს სამეურნეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - დიდიმო ჩიტიძე.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ მომსახურების წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

## 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ელექტრონული ფორმით, რომელიც დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის

საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოებები, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტული გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

## 13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2 მხარეთა შორის (მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის ვადაში) შეუთანხმებლობის შემთვევაში დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე არ ან

არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებებს, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით და დამოწმებულია ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>

**სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო**

თავმჯდომარე
ლევან მეხუზლა
**ს/კ** 204446965
**იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32.
**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა
**ბ.კ.** TRESGE22; **ა/ა** 200122900
**ტელ.:** 2 97 41 03

Levan Mekhuzla 01017002508
Digitally signed by Levan Mekhuzla
Date: 2023.06.19 12:12:17

<u>მიმწოდებელი</u>

**მეწარმე ფიზიკური პირი**

თამაზ ჯანეზაშვილი

**პ/ნ** 01004003294
**იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მუხიანის 1 მ/რ კორ №9 ბ№29
**საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. „საქართველოს ბანკი“
**ბ/კ** BAGAGE22
ა/ა GE26BG0000000591236100
**ტელ.:** 2 954 934

**ლევან მეხუზლა** | **თამაზ ჯანეზაშვილი**